ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 10475/01
28/10/2019

10475-01-2-201910281615

შპს „ნიუ როუდ ჯგუფის“ დირექტორს
ბატონ დავით ჟღენტს
მის: თბილისი, ბურძგლას ქ.N74

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 10 ოქტომბრის №14478 განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელიც ეხება ქ. თერჯოლაში, შპს „ნიუ როუდ ჯგუფის“ მიერ ასფალტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ასფალტის დანადგარის მტვერგამწმენდის ეფექტურობის პროცენტული მაჩვენებლის შესახებ მოცემულია სხვადასხვა ინფორმაცია. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თავი 3.2.2; გვ. 16 და თავი 6.1.3 (ცხრილი 6.1.3.1) გვ. 35, ასფალტის დანადგარის მტვერგამწმენდის საპროექტო ეფექტურობად მითითებულია 99,2%, ხოლო თავი 6.1.2 გვ. 33 და თავი 6.1.3 გვ. 35, გ-1 გაფრქვევის წყაროს გაანგარიშება მითითებულია 99,95%.

აგრეთვე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში თავი 3, (მოსალოდნელი ემისიები) გვ.10 და თავი 4, (ცხრილი 4.3) გვ. 24 ასფალტის დანადგარის მტვერგამწმენდის საპროექტო ეფექტურობად მითითებულია 99,2%, ხოლო გვ. 12 გ-1 გაფრქვევის წყაროს გაანგარიშება განხორციელებულია მტვერგამწმენდის 99,95% ეფექტურობის მაჩვენებლით.

გთხოვთ უზრუნველყოთ ასფალტის დანადგარის მტვერგამწმენდის საპროექტო ეფექტურობის პროცენტული მაჩვენებლის დაზუსტება და სამინისტროში შესაბამისი ინფორმაციის უმოკლეს ვადაში წარმოდგენა.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013